



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №25

2012 წლის 9 მარტი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შესახებ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის დამტკიცების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის „ო“ პუნქტისა და საქართველოს კანონის „ ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ 26¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შესახებ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი თანახმად დანართისა.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ა.კაკაბაძე).

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნ. ბერაძე

დანართი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შესახებ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი

“-----” “-----” 20 წ. (რიცხვი, თვე, წელი)

ქ. ქობულეთი

1. წინამდებარე ოქმი (ხელშეკრულება) გაიცა: -----

აუქციონში გამარჯვებულის (ნებართვის მფლობელი) - ფიზიკური პირის სახელი და გვარი, ხოლო იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება, წარმომადგენლის სახელი, გვარი და უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, ნებართვის მფლობელის მისამართი და მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტების მონაცემები)

2. მასზედ, რომ „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად

(ლოტის დასახელება, იურიდიული მისამართი, ფართობი კვ. მ-ში) სხვა აღწერილობა)

გარე რეკლამის განთავსების

ფასი ----- (-----) ლარი
(ციფრებით) (სიტყვიერად)

3. შემდგომში ქობულეთის მუნიციპალიტეტის სააუქციონო მუდმივმოქმედი კომისიის მიერ

20 --- წლის “-----” “-----” მოწყობილ აუქციონზე მის მიერ

შემოთავაზებული ფასის ----- (-----) ლარი
(ციფრებით) (სიტყვიერად)

საფუძველზე ის გამოვლინდა გამარჯვებულად (შემდგომში - ნებართვის მფლობელი) და „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად ოქმით (ხელშეკრულებით) ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით, გარე რეკლამის განსათავსებლად გადაეცა

(ლოტის დასახელება, იურიდიული მისამართი, ფართობი კვ. მ-ში) სხვა აღწერილობა)

-----ვადით.

4. ნებართვის მფლობელი ვალდებულია:

გარე რეკლამის განთავსების ღირებულება

----- (-----) ლარი
(ციფრებით) (სიტყვიერად)

გადაიხადოს: ----- ვადაში.
(აუქციონის პირობებით გათვალისწინებულ ვადაში)

შემდეგ საბანკო ანგარიშზე: -----

5. ნებართვის მფლობელს გადახდილი „ბე“ ჩაეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

6. ნებართვის მფლობელი ვალდებულია დაიცვას, დათქმულ ვადაში და ჯეროვნად შეასრულოს აუქციონის პირობები:

- ა) -----
- ბ) -----
- გ) -----
- დ) და ა.შ.

7. ნებართვის მფლობელის მიერ ხელშეკრულებით დადგენილი სანებართვო პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს ნებართვის მფლობელის დაჯარიმებას კანონმდებლობით დადგენილი წესით. ჯარიმის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 154^ა მუხლით.

8. ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდგომ დადგენილ ვადაში ნებართვის მფლობელი მიერ სანებართვო პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს დაკისრებული ჯარიმის გასამმაგებას.

9. გასამმაგებული ჯარიმის დაკისრებიდან დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, თუ ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობები არ იქნება დაკმაყოფილებული, დაკისრებული ჯარიმა გასამმაგდება. (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 36¹ მუხლი.)

10. ოქმით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევა და დაწესებულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობა განიხილება აუქციონის შედეგების (ოქმის) გაუქმების საფუძველად.

11. ოქმიდან (ხელშეკრულებიდან) წარმოშობილი სადავო საკითხები განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ოქმი (ხელშეკრულება) შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება მესაკუთრეს, ხოლო მეორე გადაეცემა ნებართვის მფლობელს.

13. აუქციონში გამარჯვებული ნებართვის მფლობელი ადასტურებს, რომ გაეცნო და ეთანხმება ოქმის (ხელშეკრულების) შინაარსს და სრული ნებაყოფლობის საფუძველზე ხელს აწერს წინამდებარე ოქმს (ხელშეკრულებას).

15. ოქმს (ხელშეკრულებას), რომელიც მესაკუთრესთან რჩება, თან ერთვის:

ა) ამონაწერი საჯარო ან/და სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) იმ შემთხვევაში თუ ნებართვის მფლობელი იურიდიული პირია, ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

გ) იმ შემთხვევაში თუ ნებართვის მფლობელი მოქმედებს წარმომადგენლის მეშვეობით წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

კომისიის თავმჯდომარე: /-----/ /-----/
(ხელმოწერა) (სახელი გვარი)

აუქციონში გამარჯვებული პირი
(ნებართვის მფლობელი)

/-----/ /-----/
(ხელმოწერა) (სახელი გვარი)

----- ბეჭდის ადგილი

